თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2023 წლის 6 სექტემბერი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02.02.2018, ს.კ.: 0102500050.35.126.016251) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დებულების 8^{1} მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 46^{5}, 46^{6}, 172^{8} და 172^{9} მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით გოგბერაშვილი**